

# საგაზეთო

საერთო უკრაინული

სამშობლო 5 ოქტომბერი 2004 №231 (2252)

ფასი 50 თეთრი

საგაზეთო  
საერთო უკრაინული  
სამშობლო



საერთო უკრაინული  
სამშობლო



ვისთან ექნება საჭმე გია გვგუაძის „დინამოს“, ნიონში გაირკვევა

## დღეს დინამო დიდ ბიჭებს გაიხსნობს

შვეიცარიულ ნიონში სხვა 39 გუნდთან ერთად ჩვენი „დინამოს“ ბედიც წყდება — დღეს უეფას თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრაა. რვა ჯგუფში გადანაწილებისთვის გამზადებული ხუთი კალათის გუნდებიდან „დინამო“ უსუსტესშია, მაგრამ „დინამომ“ უკვე დაგვიმტკიცა, რომ ნაღდად არაა უსუსტესი და ქართველი ხალხისთვის ნამდვილი ფეხბურთის ჩუქება და ეროვნული სიამაყის გაღვივება შეუძლია. და თუ დღეს ორ საათზე ბედმა და კენჭისყრამაც გაგვიღიმა, ვინძლო „დინამომ“ გაზაფხულის ევროპული ფეხბურთიც გვანახოს.




## ხიზანიშვილი ტრავმას შირქესთან გააოქმცა



გადრი კაშილაძის ფოტო

დღეს გლაზგოდან თბილისში მოდის რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილი, ვისი 13 ოქტომბერს უკრაინასთან თამაში ძალიან სათუო იყო, მაგრამ ხიზანიშვილი მაინც მოდის. ზურას უკრაინელებთან შებმა გულით სწადია და უეფას თასზე „მარიტიმუსთან“ მიღებულ ტრავმასაც არ უშინდება.



გადრი კაშილაძის ფოტო

**ელადათ  
სიურპრიზებს**  
დღეს აბაშიძე  
სასამართლოში  
ვიღის





გაბრიელ კატილაძის ფოტო

თბილისი	1:1	ტორკედო
ვიტ ჯორჯია	4:0	ჯანსაფონი
დილა	0:0	ლოკომოტივი
ბათუმი	3:0	დინამო
სიონი	2:2	ჯოლხეთი

### მე და მამა ვეუზაობთ

მე და მამა ვეუზაობთ — არის „სარბიელში“ ასეთი რუბრიკა და აგერ ბატონო, კადრი ცხოვრებიდან — მამა-შვილი მერაბ და გიორგი მეგრელაძეები.

იყო დრო, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარ მეგრელაძე, თავის, მაშინ უწყვეტ ვაჟ გიორგისთან ერთად საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა და მამა-შვილური გოლეზი მრავლად გვინახავს.


მერე ცხოვრებამ, დრომ თავისი გაიტანა და მერაბიც მოედინიდან წავიდა, მაგრამ დღესაც იქაა, სადაც შვილი, ფეხბურთი და „ტორპედო“.

„თბილისს“ — „ტორპედოს“ მატჩს მერაბ მეგრელაძესთან ერთად საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესიც ესწრებოდა და როგორც გავიგეთ, უმცროსი მეგრელაძე თვალში მოსვლიდა.

ისე, ამ ფოტოს შემხედვარე, არც უფროსი მეგრელაძე უნდა იყოს ცუდ ფორმაში.



„ტორპედო“ და მამა-შვილი მეგრელაძეები



### ელოდით სიურპრიზებს დღეს აბაშიძე სასამართლოში მიდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი ანდრო აბაშიძე თანამდებობიდან მისი არაკანონიერად გათავისუფლების თაობაზე სარჩელს სასამართლოში დღეს შეიტანს. აბაშიძე აპროტესტებს ფედერაციის აღმასკომის 27 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებას — აღმასკომი ფედერაციის წესდების დარღვევით ჩატარდა და ჩემი გათავისუფლების უფლება არ ჰქონდაო.

ანდრო აბაშიძე ამბობს: „მე აღმასკომის წევრი ვარ და ფედერაცია, თავის წესდების შესაბამისად, ვალდებული იყო, აღმასკომის ჩატარების თარიღი ჩემთვის, სხდომაზე სამი დღით ადრე ეცნობებინა. აღმასკომის შეკრება კი მხოლოდ სხდომის შემდეგ გავიგე“.

ანდრო აბაშიძე ჯერჯერობით არ ამხელს სარჩელი რომელი რაიონის სასამართლოში შეაქვს. თუმცა არ მაღავეს და ფედერაციასაც აფრთხილებს: „სიურპრიზები იქნება! არ იქნება დღეს და ხვალ, მაგრამ იქნება უახლოეს მომავალში, თანაც უხვად“.

სიურპრიზი კი რის სიურპრიზია, კაცმა თავიდანვე იცოდეს და კითხვაც ბუნებრივია — რას უშვადებს აბაშიძე ფორდანიას?

ხოლო, როცა ანდრო აბაშიძეს ფედერაციასთან დაპირისპირების შემდეგ უეფას შესაძლო სანქციებზე სიტყვას უხსენებ, მოკლედ და კონკრეტულად ამბობს: „თუ საქმეში უეფა ჩაერია და სანქციებით დაგვემუქრა, ბრძოლას მაშინვე შევწყვეტ ქართული ფეხბურთის მტერი არ ვარ, თუმცა არ მგონია, ჩემსა და ფედერაციის დაპირისპირებაში უეფა ჩაერიოს“.

ამასობაში კი აბაშიძის შემცვლელი, ფედერაციის ამჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ჩოლარია უეფაში იმ საქმეებს აგვარებს, რის გამოც მერაბ ფორდანიამ ფედერაციის აღმასკომს აბაშიძის გათავისუფლების ნება სთხოვა: „უეფას წარმომადგენლებთან შეხვედრა ახლახან დავემთავრე, მოკლედ გეტყვით, პრაქტიკულად ყველა საკითხი ფეხბურთის ფედერაციის სასარგებლოდ გადაწყდა“, გვითხრა გუმინ ვალერი ჩოლარიამ.

ჩოლარიას სიტყვებზე ანდრო აბაშიძის კომენტარი მოკლეა: „ნოემბრამდე მაინც არაფერი მოგვარდება. ნოემბრამდე კი, დღემთა იცის, რა მოხდება“.

კობა ინასარიძე

### ჭახს!

„თბილისს“ — „ტორპედო“ — ჯახი თქვენი მოწონებული. ალექსანდრე იაშვილი — დავით გამეზარდაშვილი, ესეც გამორჩეული დუელი. ქუთაისელთა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ ჭკუა იხმარა და ლამის ორმეტრიანი გამეზარდაშვილი პერსონალურ მეურვედ მიუჩინა სანაქებო მოთავეზე იაშვილს. 90 წუთი ჰაერში ჭახა-ჭუხი იყო, იაშვილი ბურთს ითხოვდა, გამეზარდაშვილი არ ანებებდა.

აგერ, შედეგიც... გამეზარდაშვილის გატეხილი თავი



გაბრიელ კატილაძის ფოტო

### მწვრთნელური ამბები

ზომბადად, მწვრთნელი ფეხბურთელების საჯაროდ კრიტიკას ერიდება და წარუმატებლობებს მათ არ აბრალებს სოლმე.

„სიონი“ — „კოლხეთის“ მატჩის შემდეგ კი ბოლნისელთა დამრიგებელმა ვარლამ კლასონიამ თქვა, ზოგიერთი ჩემი ფეხბურთელი შემთხვევით თამაშობს უმაღლეს ლიგაშიო. „სიონში“ თამაშობს ვარლამის ძმა ვიაც, ვინც ამ შეხვედრაში ცენტრალური მცველი იყო. მასზე მწვრთნელმა ის დასძინა, რომ ვიაცს თანაგუნდელების შეცდომებს ასწორებდა და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ის ჩემი ძმააო. ამავე მატჩში „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა სერგო გაბელაიას. მან მეორე ტაიმში ისეთი ტაქტიკური გადაადგილებები მოახდინა, რომ „კოლხეთმა“ ორი ბურთი ამოუქაჩა „სიონს“.

მთლიანობაში, ეს თამაში ძალიან წუნია იყო, მაგრამ მწვრთნელურ ამბავში საინტერესო.

გომავარდინები	
6-მომავარდინი	ტორპედო
5-მომავარდინი	ლოკომოტივი
4-მომავარდინი	ვიტ ჯორჯია
3-მომავარდინი	დინამო
2-მომავარდინი	თბილისი
1-მომავარდინი	ვიტ ჯორჯია
0-მომავარდინი	ბათუმი
0-მომავარდინი	თბილისი

მომავარდინო ტური	
6 ოქტომბერი, ოთხშაბათი	ვიტ ჯორჯია - ჯოლხეთი
7 ოქტომბერი, ხუთშაბათი	ბათუმი - დილა
	თბილისი - ჯესტაფონი
	სიონი - დინამო
	ლოკომოტივი - ტორპედო

### გურბილიძე!



იმერული მიდი-მოდი გრძელდება. „ზესტაფონში“ მწვრთნელ-ფეხბურთელების მისვლა-მოსვლას ბოლო არ უჩანს. ვინ როდის მიირთვება ამ გუნდის მაისურას და ვის როდის მიუთითებენ კარისკენ, კაცმა არ იცის.

სადღესიოდ ბოლო მსხვერპლი „ზესტაფონში“ ზაზა გურილიძეა მწვრთნელი, რომელმაც ორი ტური გაძლო და „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:4 მარცხის მერე დაითხოვეს „ზესტაფონი“ დროებით ძველ ზესტაფონელს, ზურ ჩუბინიძეს ჩააბარეს.


სიმბოლოები ნაპრები

- გიორგი აბაშიძე ● ვიტ ჯორჯია
- გიორგი ჭაღვიძა ● ბათუმი
- ლევან სომარიძე ● ბათუმი
- რევაზ ბაჩიაძე ● თბილისი
- ვიტალი ღარჩიაძე ● ბათუმი
- დავით გომეზაძე ● ტორპედო
- პაპია დათუნაიშვილი ● ვიტ ჯორჯია
- კახა ძაგარაძე ● ბათუმი
- დავით გამეზარდაშვილი ● ტორპედო
- კახა ეზრაიანი ● ტორპედო
- ზვიად სტურუა ● ტორპედო

გუნდი: ბათუმი

მწვრთნელი: გიორგი ღვინია





სვენ გორან ერიკსონი მაიკლ ოუენს ჯერმენ ღეფოს ამჯობინებს



# 306 ამოვირჩიო?

## ერიკსონი ოუენს ძირითადში ველარ ხელავს

ინგლისის ნაკრები ახლა მეტი ოპტიმიზმით ეგებება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს — ერთმანეთს მიყოლებულ შეხვედრებს უელსთან და აზერბაიჯანთან. საქმე ისაა, რომ გუნდს სამი მთავარი ფიგურა უბრუნდება: სოლ კემპბელი, უენ რუნი და სასკელმოხილი რიო ფერდინანდი. პირველმა ორმა ტრავმები მოიშუშა, რით კი ნაკრებში ბოლოს ერთი წლის წინ იყო, რის შემდეგაც სადლოპინგო ტესტის ჩავდება უწია.

ეს სამივე ფეხბურთელი ახლა ფორმაშია, თუმცა კემპბელს მაინც უნდა მცირე დრო, რომ ძველებურად ითამაშოს. რუნიმ თავისი დაბრუნება და „მანჩესტერში“ გადასვლა ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ თრიქით აღნიშნა, თუმცა, კვირას „მიდლსბროსთან“ მატჩში თავი ვერ გამოიჩინა, რის გამოც სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, უენი დაღლილი იყო „ფენერბაჰქსთან“ მატჩის შემდეგ და 96 დღის თავზე პირდაპირ საქმეში ჩართვა ადვილი არ არის.

აქ ისიც უნდა ვახსენოთ, რომ ფერგი თავის ფეხბურთელებს ოთხშაბათამდე არ უშვებს სვენ გორან ერიკსონთან, ერთკვირიანი შეკრებით გადამეღლებიანო. ასევე არ უშვებს კარდიფში რაიან გიგსსაც, რომელიც სწორედ რომ ინგლისელებთან სათამაშოდ უნდა მოემზადოს. „მანჩესტერის“ ბოსი ფიფა უეფას კანონს არ არღვევს, თუმცა, არც ნაკრების მწვრთნელებს უწევს ანგარიშს.

ერიკსონს ახლა ხშირად ეკითხებიან, დააყენებს თუ არა სასტარტოში რუნის. შვედი პასუხობს: „რატომაც არა? ის ითამაშებს“. ამის პარალელურად კი წამოჭრილია მაიკლ ოუენის საკითხი, რომელმაც წლეულს ნაკრებში მეტი ითამაშა, ვიდრე მადრიდის „რეალში“ და საერთოდ, სამეფო კლუბში მხოლოდ ორჯერ მოხვდა სასტარტოში და ორჯერვე შეცვალეს. შაბათს, „დეპორტივოსთან“ წაგებულ მატჩის შემდეგ ესპანურმა გაზეთებმა მაიკლი გაამათრახეს, თუმცა მწვრთნელმა გარსია რემონმა თქვა, რომ ის ტრავმის გამო შეცვალა. ასე რომ, ახლა ნაკრების შეკრებაზე მას ჯანმრთელობის ტესტის გავლაც მოუწევს. გარსია რემონს ისიც დაუწვლია, კუნთი შესვენებამდეც აწუნებდა და ნეტავ ადრევე შემეცვალაო. ერიკსონს კი ადრევე უთქვამს, რახან მაიკლი „რეალში“ ცოტას ითამაშებს, ვარჯიშებზე განსაკუთრებით უნდა დავაკვირდე, ნაკრების სასტარტო დაბეჭეებული არავის აქვსო.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვასოვდეს — მაიკლი, ეს მსოფლიო კლასია“, მხარს უჭერს მძიმე დღეში მყოფ ოუენს ფრენკ ლამპარდი.

მელია კი უკვე ეკითხება „ლივერპულს“ ახალ ბოსს, რაფა ბენიტესს, ბიჭს ხომ არ დაიბრუნებდით. „უეფა კრძალავს ერთი ფეხბურთელის ორ ტრანსფერს ერთ სეზონში. ზაფხულს უნდა დაველოდოთ — პასუხობს მენეჯერი — ამ დაბრუნებას არ გამოვიცხავ“. სხვა მხრივ კი ინგლისის ნაკრებში დებიუტანტი არ არის. კემპბელისა და ფერდინანდის შემცვლელად ჯონ ტერი და ლედლი კინგი იქნებიან, რომლებმაც კარგად გასწიეს ცენტრალურ მცველთა ჯგუფი ძირითადი წყვილის არყოფნაში.

ნაკრებში გამოძახებულია მანჩესტერელი ფილ ნევილიც, რომელიც ოუენისა არ იყოს, იშვიათად ჩანს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მაიკლ ოუენის ადგილს კი სანაკრებო II კატეგორიაში „ტოტენჰემში“ ჯერმენ ღეფო შეეჭიდება. ღეფო პირველად იყო სასტარტოში პოლონეთში 2:1-ზე მოგებულ მატჩში და დებიუტი გოლით აღნიშნა.

საქმე უფრო ნახევარდაცვაშია არეული, რადგან დაიმტვრა ლივერპულელი სტივ ჯერარდი. მის ადგილს ან ნიკი ბათი, ანაც ჯო კოული დაიჭერენ და არც შონ რაიტ-ფილიპსის გამოჩენაა გამორიცხებული.

ნაკრებში გამოძახებულია მანჩესტერელი ფილ ნევილიც, რომელიც ოუენისა არ იყოს, იშვიათად ჩანს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მაიკლ ოუენის ადგილს კი სანაკრებო II კატეგორიაში „ტოტენჰემში“ ჯერმენ ღეფო შეეჭიდება. ღეფო პირველად იყო სასტარტოში პოლონეთში 2:1-ზე მოგებულ მატჩში და დებიუტი გოლით აღნიშნა.

საქმე უფრო ნახევარდაცვაშია არეული, რადგან დაიმტვრა ლივერპულელი სტივ ჯერარდი. მის ადგილს ან ნიკი ბათი, ანაც ჯო კოული დაიჭერენ და არც შონ რაიტ-ფილიპსის გამოჩენაა გამორიცხებული.

„შემაღვწილა ძლიერია და პრობლემატა ეს არის ვინ ვაინამაშო და ვინ არა. მაგალითად, ვინ ამოვირჩიო ოთხი ცენტრალური მცველადან? ისინი ეროვნულზე უკეთესები არიან“.

წევს ვრეკსონი.

შაბათს ინგლისი „ოლდ ტრეფორდზე“ მასპინძლობს უელსელებს, ოთხი დღის თავზე კი ბაქოში სტუმრობს აზერბაიჯანს.

**ინგლისი ნაკრები**

THE SQUAD	
<b>KEEPERS</b>	
DAVID JAMES, Man City	24 14 0
PAUL ROBINSON, Tottenham	24 6 0
HORNET GREEN, Norwich	24 0 0
<b>DEFENDERS</b>	
JOHN TERRY, Chelsea	24 14 0
RIO FERDINAND, Man Utd	25 53 0
LEDLEY KING, Tottenham	25 10 1
SOL CAMPBELL, Arsenal	30 68 1
ASHLEY COLE, Arsenal	23 55 0
GARY NEVILLE, Man Utd	29 70 0
PHIL NEVILLE, Man Utd	27 90 0
JAMIE CARRAGHER, Liverpool	26 18 0
<b>MIDFIELDERS</b>	
NICKY BUTT, Newcastle	29 36 0
OWEN HARGREAVES, Bay'n Munich	25 33 0
JOE COLE, Chelsea	23 18 2
FRANK LAMPARD, Chelsea	26 26 6
JERMAINE JENAS, Newcastle	21 7 0
DAVID BECKHAM, Real Madrid	29 75 14
SHAUN WRIGHT-PHILLIPS, Man City	22 1 1
<b>STRIKERS</b>	
WAYNE ROONEY, Man Utd	18 17 9
ALAN SMITH, Man Utd	23 10 1
MICHAEL OWEN, Real Madrid	24 63 27
JERMAIN DFOE, Tottenham	22 5 1
DARIUS VASSELL, Aston Villa	24 22 6

# ეს ის ესპოზიტიოა?!

## ამერიკიდან ამურაში და ორი სიურპრიზი

მარჩელო ლიპიმ სლოვენისა და ბელარუსთან სათამაშოდ გამოძახებულია სია ჩამოწერა და გამოაქვეყნა. მასში არ არის ანტონიო კასანო, მაგრამ არის „კალიარის“ მოთამაშე მაურო ესპოზიტო.

ლიპის სიაში აგრეთვე არ არიან კრისტიან ვერეი და ალესანდრო დელ პერო, რომელთაც „სკუადრა ატურასკენ“ ტრავმამ გადაუღობა გზა, ფაბიო კანავაროს და ფრანჩესკო ტოტის კი კვლავ ვიზილავთ ცისფერი მაისურით.

ნაკრებში გამოძახების დიდი იმედი ჰქონდა „მილანის“ ფორვარდს ფილიპო ინსაგის, რომელმაც ბოლო ნახევარ წელიწადში პირველი გოლი გაიტანა ამასწინათ, მაგრამ ლიპიმ გადაწყვიტა დაიცადოს, სანამ ინსაგი სრულად არ გამოჯანმრთელდება.

21-წლამდელთა გუნდიდან ანუ „აპურინიდან“ დიდ ნაკრებში ანუ „აპურიში“ გადავიდნენ „რომას“ ნახევარმცველი დანიელე დე როსი და „პარმას“ თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინო, ხოლო პალერმოელი ლუკა ტონი, რომელმაც 4 სექტემბერს ნორვეგიას გოლი გაუტანა, მყარად ინარჩუნებს ადგილს ნაკრებში.

ახლა კი დაგუბრუნდეთ ლიპის მორიგ სიურპრიზს, „კალიარის“ მოთამაშეს მაურო ესპოზიტოს. ეს ის ესპოზიტო გახლავთ, რომელმაც სერია A-ს უკვე ჩატარებულ ხუთ ტურში ორი გოლი გაიტანა, ხოლო შაბათს, „ბრეშასთან“ შეხვედრაში მოედინა გააძევეს. ესპოზიტო ლიპიმ კასანოს მაგივრად წაიყვანა.

კიდევ ერთი სიურპრიზი გახლავთ „პალერმოს“ მცველი კრისტიან მაკარდო, რომელზეც ჯერ კიდევ „ბოლონიამ“ თამაშის დროს ამბობდნენ, სანაკრებო კაციო. ნაკრებში არის სერია A-ს გარეთ მოთამაშე სამი ფეხბურთელიც — ვალენსიელები, ბერნარდო კორადი, მარკო დი ვაიო და სტეფანო ფიორე.


მელია კი უკვე ეკითხება „ლივერპულს“ ახალ ბოსს, რაფა ბენიტესს, ბიჭს ხომ არ დაიბრუნებდით. „უეფა კრძალავს ერთი ფეხბურთელის ორ ტრანსფერს ერთ სეზონში. ზაფხულს უნდა დაველოდოთ — პასუხობს მენეჯერი — ამ დაბრუნებას არ გამოვიცხავ“. სხვა მხრივ კი ინგლისის ნაკრებში დებიუტანტი არ არის. კემპბელისა და ფერდინანდის შემცვლელად ჯონ ტერი და ლედლი კინგი იქნებიან, რომლებმაც კარგად გასწიეს ცენტრალურ მცველთა ჯგუფი ძირითადი წყვილის არყოფნაში.

ნაკრებში გამოძახებულია მანჩესტერელი ფილ ნევილიც, რომელიც ოუენისა არ იყოს, იშვიათად ჩანს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მაიკლ ოუენის ადგილს კი სანაკრებო II კატეგორიაში „ტოტენჰემში“ ჯერმენ ღეფო შეეჭიდება. ღეფო პირველად იყო სასტარტოში პოლონეთში 2:1-ზე მოგებულ მატჩში და დებიუტი გოლით აღნიშნა.

საქმე უფრო ნახევარდაცვაშია არეული, რადგან დაიმტვრა ლივერპულელი სტივ ჯერარდი. მის ადგილს ან ნიკი ბათი, ანაც ჯო კოული დაიჭერენ და არც შონ რაიტ-ფილიპსის გამოჩენაა გამორიცხებული.

ნაკრებში გამოძახებულია მანჩესტერელი ფილ ნევილიც, რომელიც ოუენისა არ იყოს, იშვიათად ჩანს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მაიკლ ოუენის ადგილს კი სანაკრებო II კატეგორიაში „ტოტენჰემში“ ჯერმენ ღეფო შეეჭიდება. ღეფო პირველად იყო სასტარტოში პოლონეთში 2:1-ზე მოგებულ მატჩში და დებიუტი გოლით აღნიშნა.

საქმე უფრო ნახევარდაცვაშია არეული, რადგან დაიმტვრა ლივერპულელი სტივ ჯერარდი. მის ადგილს ან ნიკი ბათი, ანაც ჯო კოული დაიჭერენ და არც შონ რაიტ-ფილიპსის გამოჩენაა გამორიცხებული.



მარჩელო ლიპიმ დანიელე დე როსი „სკუადრა ატურას“ გაუშინაურა



კვირა საღამოს „ინტერის“ მწვრთნელი, რობერტო მანჩინი ძალიან გაღიზიანებული გახლდათ, მისმა გუნდმა ხომ რომის ოლიმპიურ სტადიონზე დიდი უპირატესობა, 3:1 გაუშვა ხელიდან. სამაგიეროდ, კმაყოფილი იყო „რომას“ თავკაცი ლუიჯი დელ ნერი, რომლისთვისაც ეს იყო პირველი მატჩი ახალ სამსახურში



რობერტო მანჩინი და ლუიჯი დელ ნერი

# ექვსი, ოცონდ ორ კარში სად დაკარგა, ბიჭო, ულვაში?!

ჩვენ ღია, ინტენსიური ფეხბურთი ვითამაშეთ, ასეთ დროს მოგება და წაგება დაბალანსებული უნდა იყოს — განაცხადა პრესკონფერენციაზე დელ ნერიმ — ხოლო ისეთი ორი გოლის გაშვების შემდეგ, როგორც ჩვენს კარში გავიდა, სხვა გუნდი კიდევ ექვს გაუშვებდა, ჩემმა ბიჭებმა კი ძალიან მორიგად და ანგარიში გაათანაბრეს. ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრის ყველაზე დადებითი მომენტი სწორედ ეს იყო.

არადა, სულ თავიდან, პირველი გოლი რომაელმა ვინჩეცო მონტელამ გაიტანა. ასე რომ, დაწინაურებით ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ, თუმცა „შავ-ლურჯებმა“ ამის მერე ითამაშეს ჩინებულად და ესტებან კამბიასოს, ხუან სებასტიან ვერონისა და ალვარო რეკობას ჩინებული გოლებით მეორე ტაიმის მე-9 წუთისთვის ისე დაწინაურდნენ, რომ იმის მერე „რომას“ გამოფხიზლება მართლაც შეუძლებელი ჩანდა.

როგორც კი „ინტერმა“ მესამე გოლი გაიტანა, სამ წუთში ფრანჩესკო ტოტიმ უხადოდ შეასრულა საჯარო დარტყმა, ხოლო საფინანსო სასტვენამდე 26 წუთით ადრე დანიულ დე როსიმ ანგარიში გაკეთა.

საინტერესო ეპიზოდი იყო 62-ე წუთზე, ანუ როდესაც „ინტერი“ ჯერ კიდევ იგებდა 3:2-ს. ამ დროს დელ ნერიმ ანტონიო კასანო მი-

დლოტი შეცვალა და ამ შეცვლამ კასანოს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

„კასანოს გასულ კვირას გრიპი ჰქონდა და ბევრი არ უვარჯიშია, მაგრამ კარგად ითამაშა, თავის საქმე ეფექტურად შეასრულა. უბრალოდ ამ ბიჭს სულ თამაშში ყოფნა სურს, რაც ჩემთვის გასაგებია და ამიტომაც მისი რეაქციის მიზეზს მივხვდი“ — ბრძანა დელ ნერიმ, რომელიც, სხვათა შორის, ჩვეულებრივ 4-4-2 სისტემის მიმდევარი და მცოდნე კაცია, მაგრამ პირველ ჯერზე 4-2-3-1 განლაგებით თამაში ამჯობინა. ალბათ იმიტომ, რომ ეს განლაგება უფროა შეტევაზე გათვლილი.

დელ ნერიმ განაცხადა: „ჩემი რწმენით, ყველა ერთსულოვანი უნდა იყოს და ყოველთვის უნდა მიეცეს შანსი იმას, ვისაც ამა თუ იმ მომენტში რაიმე დამატებითი გაღება შეუძლია. დღეს „რომასთან“ ჩემი პირველი კონტაქტი შედგა და უნდა გითხრათ, რომ 65 ათასი ქომავის ერთსულოვანმა სიმღერამ დიდი ძალა შთაბერა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ქალაქისთვის დიდი გამარჯვებების შეთავაზება შეეძლება“.

ბოლო შეკითხვა კი ულვაშთან იყო დაკავშირებული.

„პორტუგალიაში ისეთი სტრესი მქონდა, რომ ულვაში გამცვივდა და საბოლოოდ მოპარსვა გამჯობინე. გარდა ამისა, მახერებდა“ —

უპასუხა „პორტუმი“ სულ რაღაც ერთი კვირით ნამუშევარმა დელ ნერიმ.

რაც შეეხება რობერტო მანჩინის, იგი, როგორც გითხარით, გაღიზიანებული გახლდათ, უპირველესად თავის მოთამაშეებზე.

„ამდღევანდელი თამაში გახლდათ, რომლის მოგებაც ორივე გუნდს შეეძლო. ჩვენ ცუდად დავიწყეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ალვარო რეკობას უკანაც უნდა ერბინა და თავისიანები დაეხვებოდა, მაგრამ არ გააკეთა. არადა, ყველას ის რომ გაეკეთებინა, რაც ევალებოდათ, ჩვენი გუნდი დაბალანსებულ ფეხბურთს ითამაშებდა. მეორე მხრივ, დაიწყეთ თუ არა თამაში, ამკარად გამოჩნდა, რომ გოლებს გავიტანდით, მაგრამ არის ასეთი ჭეშმარიტება: როდესაც მე-61 წუთისთვის 3:1 იგებ და საბოლოოდ თამაში ფრედ მთავრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ გოლები ქარისთვის გავიტანებია. ერთი სიტყვით, ისევე საკუთარ შეცდომებში უნდა ვიჩხრიკოთ, ვინაიდან შეხვედრის სადავეები ხელთ გვეპყრა და უბრალოდ გადავყარეთ.“

ვინაიდან ჯერ სეზონის დასაწყისია, შეიძლება ითქვას, რომ დაკარგულის ანაზღაურების საშუალება კიდევ გვაქვს, მაგრამ ქულების ფლანგვას თავი რომ უნდა დავანებოთ, ფაქტია“.

ბაპუნა კილია

# ტრეზეზე ოპერაციის შემდეგ ფიქრობს

დავიდ ტრეზეზეს კვლავ მხარი ტკივა და არ არის გამორიცხული ოპერაცია დასჭირდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთიდან ოთხი თვით მოუწევს წასვლა.

„ტრეზეგეს შესახებ ცუდი ამბები გითხრეს — განაცხადა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ უდინეში 1:0 გამარჯვების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე — ამ კვირის განმავლობაში იძულებულნი ვიქნებით საბოლოოდ გადავწყვიტოთ, რა გზას უნდა დავადგეთ“.

„უდინეზისთან“ ხსენებულ შეხვედრაში ფრანგი თავდამსხმელის შეცვლა პირველი ტაიმის შემდეგვე გახდა საჭირო. სამწუხაროდ, ტრეზეგე მხარზე დაეცა, ეს ადგილი კი მისთვის პრობლემური იყო და პრობლემურადვე რჩება. მარტო გასულ სეზონში მას ორჯერ მოუვიდა ამავე ტიპის ინციდენტი.“


კაპელომ დასძინა: „დავიდს მხარი უვარდება ხოლმე. ამჯერად უნდა თქვას პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოსაშორებლად გაიკეთებს ოპერაციას თუ არა. ოპერაცია კი ფეხბურთიდან ოთხი თვით ჩამოშორებას ნიშნავს, ასე რომ, ეს მართლა მისი გადასწყვეტია“.

გამოდის, რომ „იუვენტუსის“ რთული დროს უდგას. ალესანდრო დელ პიეროც დაშვებულია და ორი კვირით ვერ ითამაშებს, ახლა კი მას



შეიძლება სკამზე ტრეზეგეც მიუჯდეს ერთი სიტყვით, კაპელო ზლათან იბრაჰიმოვიჩისა და მარსელო ზალაიეტას ამარა დადარება.

ბაპუნა კილია



მალკოლმ გლივიზერი

# მანჩესტერი აშერიკელს უნდა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ დადასტურა, რომ ერთი ვინმე განთქმული კაცი კლუბის მებატონეობას ეზომება.

ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლივიზერი კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტის დაუფლებას ცდილობს. პარასკევ საღამოს ამერიკელმა წინადადებით მიმართა კლუბს, რომელიც უკვე ფლობს 19,17 პროცენტს. „მანჩესტერმა“ თავის ოფიციალურ განცხადებაში ჯერაც არ ახსენა ამერიკელი, თუმცა ყველამ იცის, რომ შემთავაზებული სწორედ ისაა. ამ ცნობამ საფონდო ბირჟაზე „მანჩესტერის“ აქციებზე ფასი გაზარდა.

ამერიკაში გლივიზერი ფლობს იქაური ბურთაობის კლუბ „ტამპა ბეი ბუკანირს“, რომელმაც 2003 წელს სუპერბოული მოიგო. იმავე წლიდან მან „მანჩესტერის“ აქციების შესყიდვა დაიწყო და ახლა ხსენებულ პროცენტამდე ასული.

„მანჩესტერში“ კი ყველაზე დიდ წილს ირლანდიელი საცხენოსნო მაგნატები, ჯონ მანი და ჯეიმი მაკმანუსი ფლობენ — 28,9 პროცენტი. ამიტომ თუ კი ამერიკელს მართლაც უნდა მთელი მათი პროცენტის ხელში მოგდება, სწორედ მათ უნდა გაურიგდეს. ამბობენ, რომ გლივიზერი 650 მილიონი გირვანქის გამღებას ელოდება. კლუბის გულშემატკივრებს დიდად არ მოსწონთ ეს საქმე. „მანჩესტერს“ უამრავი მცირე მეწილე ჰყავს, მათ შორის რიგითი გულშემატკივარი და ამ მეწილეთა ერთობის თავკაცი შონ ბოუნსი ამბობს: ეს საშინელი საქმეა, არ გვინდა ასეთი სიტუაცია. ის თავის ჭკუაზე გაზრდის თუნდაც ბილეთის ფასს“.

გლივიზერის აზრი კი ცნობილია — „ვკ მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთი საუკეთესო საწარმოა მსოფლიოში.




რომაელთაგან საუკეთესო, როგორც ყოველთვის, ფრანჩესკო ტოტი იყო

კვირას ესპანურ პრიმერაში იქაურ პრესტიჟულ ბობოლათა მატჩი გაიმართა. „დეპორტივო“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაჯაბნა „რეალი“ და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. თამაშის შედეგით აღფრთოვანებული ხავერდით ირუტა ნაგებულ მეტოქეს მოთმინება-სიმტკიცეს უჩვენებს. „დეპორის“ პრეზიდენტმა აუგუსტო ლენდოირომ, მიუხედავად გამარჯვებისა, მონინაალმდევის თვალში-

საცემი უპირატესობა აღიარა. კასტილიელთა მწვრთნელი გარსია რემონი მარცხს იტალიურ „რომასთან“ ახლახან გადატანილი ჯოჯოხეთური ჯახით ხსნის, ხოლო „რეალის“ ძველჩაუქი ლეგენდა და ამჟამინდელი სპორტული დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო უიღბლობას უჩივის... „რეალ“ — „დეპორტივოს“ მატჩის შემდგომ კომენტარებს მადრიდული „ასის“ მიხედვით გთავაზობთ

# რეალი — დეპორტივო 0 ბრძოლის შედეგ 1 დამარცხებულმა გამარჯვებული გაასამართლა

ხავერდით ირუტა



„დეპორტივოს“ მწვრთნელი

— „რეალთან“ მატჩის შესახებ რას გვეტყვი?

— მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ, თანაც მადრიდში მოგვებას განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა — 49 წელია, „დეპორტივოს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ არ უხერია. ძალიან კმაყოფილი ვარ, „რეალის“ დამარცხება ძალიან ძნელი საქმეა და ამიტომაც კვირის შეხვედრას ოდენ დადებითად შევაფასებდი.

— „დეპორმა“ „ბერნაბეუზე“ დაცვითი ფეხბურთი შემოგვთავაზა. ეს სტილი რატომ აირჩიეთ?

— ჩვენი უკან დახევა მოწინააღმდეგის ტაქტიკამ განაპირობა. მასპინძლები აგებდნენ და გოლის გასატანად მთელი ძალებით შემოგვიტყვეს. როცა „რეალისთან“ გუნდი იერიშზე გადადის, იძულებული ხდები, მოგერიებაზე ითამაშო. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ფერნანდო მორინტესის მოედანზე გამოჩენის შემდეგ გაგვიჭირდა...

— ანუ აღიარებთ, რომ მიუხედავად წაგებისა სამეფო გუნდი „დეპორტივოზე“ უფრო ძლიერად გამოიყურება?

— „რეალმა“ ჩვენზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა, ამის უარყოფას არავინ აპირებს. თუმცა ფეხბურთში ტერიტორიული უპირატესობა გადამწყვეტი არ არის. მთავარია, მეტოქეზე მეტი გოლი შეაგლო. ჩვენ ჩვენი შანსები „რეალზე“ უკეთ გამოვიყენეთ.

— პრიმერას შეექვეს ტურის მერე ყველა რემონის გუნდის კრიზისზე ალაპარაკდება. საინტერესოა, გალაქტიკოსთა საამსეზონო ჩავარდნაზე თქვენ რას ფიქრობთ...

— „რეალის“ ქომაგებს ვურჩევდი, სასოწარკვეთას ნუ მიეცემიან. როგორც უკვე აღვნიშნე, მატჩის მსვლელობისას სახიფათო მომენტები იმათ მეტი შექმნეს, მაგრამ არ გაუძაროლათ და გოლის გატანა ვერ მოახერხეს. ისეთი გუნდებიც აგებენ, რომლებიც სრულ უპირატესობას ფლობენ... „მონაკოსთან“ საჩემპიონთალიგო მატჩში ბურთი მეტწილად ჩვენთან იყო, თუმცა „დეპორმა“ „ლუი მერეს“ სტადიონი დამარცხებულმა დატოვა, ხანდახან ასეც ხდება ხოლმე...  
**აუგუსტო ლენდოირო**

— თქვენი კოლეგა ფლორენტინო პერესი „რეალის“ მარცხით ძალიან შეწუხებული იყო?

— ვერაფერს გეტყვი. საერთოდ, ესპანური ლიგა ძალიან არათანმიმდევრულია და საწყენ წაგებებს უეცარი აღმავლობანი მოსდევს, რაც ფლორენტინომ ჩემზე უკეთ იცის.  
**ემილიო ბუტრაგენიო**



„რეალის“ სპორტული დირექტორი

— ვერავინ იტყვის, გუნდი „დეპორთან“ გამარჯვებისთვის არ იბრძოდაო — „რეალმა“ საერთო ჯამში ჩინებულად ითამაშა, „დეპორტივომ“ კი 3 ქულა ლუკეს ოდენ ერთი მომგებიანი კონტრიერიშით აიღო. ჩვენები გოლის გასატანად ყველაფერს ცვალებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იღბალი გალისიელთა მხარეს იყო.

— ლაკორუნიელთა გამარჯვება უსამართლოდ გეჩვენება?

— გულსატკენია ამხელა უპირატესობის დაკარგვა გუნდმა „ბერნაბეუზე“ სული და გული დაღო, ფლანგებზე შესანიშნავი თამაში ავაწყეთ, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა ეს არის და ეს.

— ვინ უფრო ძლიერად ითამაშა — მაიკლ ოუნმა თუ ფერნანდო მორინტესმა?


— ორივემ გააკეთა ის, რაც შეეძლო. პირველ ტაიმში კარგი საგოლე შანსები გვქონდა, მეორეში კი „დეპორტივო“ დაცვაში ჩაიკეტა და „რეალი“ მეტოქის საჯარიმოს უშედეგოდ ბომბავდა. ოუნისა და მორინტესის მიმართ



სასაყვედურო არაფერი მაქვს — რა გაეწყობა, გალისიელების სქელი კედელი ვერაფრით ვერ გაარღვივს.

— ქომაგებს რას ეტყობით?

— გულშემატკივრებს ვთხოვ, დაწყნარდნენ. სეზონი ცუდად დავიწყეთ, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს. ახლა სანაკრებო შესვენება დაიწყება, რომლის შემდეგაც ძლიერი „რეალის“ დაბრუნებას ველოდებით.  
**ბარსია რემონი**



„რეალის“ მწვრთნელი

— თქვენმა გუნდმა მორიგი საშინაო შესვენება ჩააგლო. შეგიძლების ბურთობით იმედგაცრუებული ხართ?

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება და, ცხადია, გალისიელეთან დაკარგული ქულებით გახარებული ვერ ვიქნები. „რეალს“ ცუდად არ უთამაშია. ბიჭებმა ინჩასობას გუნდისადმი თავდადება დაუმტკიცეს, თუმცა... ვინც „ბერნაბეუს“ მატჩი იხილა, ყველა დამეთანხმება, რომ „დეპორზე“ გაცილებით გააზრებულად ვიმოქ-

მედეთ. სამწუხაროდ, ერთადერთი, რაც დაგვაკლდა, გატანილი ბურთები იყო... რიასორელეტთან თამაში საკმაოდ ძნელია — ლუკეს გოლის შემდეგ დაცვაში ჩაიკეტნენ და ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვამუშავეთ.

— „დეპორის“ მცველმა რაული საჯარიმოში წააქცია, თუმცა არბიტრს პენალტი არ დაუნიშნავს...

— მატჩის შემდგომ მსაჯობის აუკარგზე მსჯელობა არ მიყვარს — ჩვეულებრივი ადამიანები არიან და, როგორც ყველა ჩვენგანი, ცდებიან ხოლმე. ერთი რამ კი ცხადია — არბიტრმა შეხვედრა არ უნდა გააფუჭოს, ტეიშიერა ვიტიენესი კი „ბერნაბეუს“ შერკინებაში ზომამე მეტად ჩაერთო.

— თქვენს ფეხბურთელებს დაღლილობა შეამჩნიეთ?

— ვფიქრობ, მართებული იქნება, ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან“ ახლახან გადახდილი ბრძოლა გავისხენოთ. იმ თამაშში „რეალმა“ შეუძლებელი შეძლო, ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად უკანასკნელი ძალები გაიღეს და, ცხადია, ჩვენი გუნდი „დეპორთან“ დაღლილობამ შეაწუხა. ეს ნორმალური მოვლენაა, უცნაურს ამაში ვერაფერს ვხედავ.

— მაიკლ ოუნს საერთოდ არ გაუმართლა. ალბიონელის უჩვეულო სისუსტე რას უნდა მივაწეროთ?

— ოუნმა თავისი სამუშაო შეასრულა. შესვენებისას ექიმებმა მითხრეს, რომ მაიკლს ფეხი სტკიოდა და გადავწყვიტეთ, სერიოზული ტრავმის თავიდან ასაცილებლად, მეორე ტაიმში მის ნაცვლად ფერნანდო მორინტესს ეთამაშა.



# გაიღება ფანჯარა და მუტუ გაფრინდება

იანვრის სატრანსფერო ფანჯარა რომ გაიხსნება, „ჩელსი“ თავის რუმინელ ფორვარდს, ადრიან მუტუსს გაყიდის. საეარაულო ფასი 5 მილიონი გირვანქა იქნება.


ამ სეზონში მუტუმ მხოლოდ 50 წუთი ითამაშა (20 „კრისტალ პალასის“ და 30 „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ).

რომან აბრამოვიჩის სურს, რომ იმ ფულის ნაწილი მაინც დაიბრუნოს, მუტუმში რომ გადაიხადა 2003 წელს — „პარმა“ 14 მილიონი გირვანქა მიიღო რუსისგან.

თუ მუტუ გაიყიდება, „ჩელსი“ „ბირმინგემში“ გაქირავებულ მიკაელ ფორსელსა და „ასტონ ვილაში“ ასევე გაქირავებულ კარლტონ კოულს დაიბრუნებს.

მუტუს აგენტი ვიკტორ ბეკალი კი აცხადებს: „ამ საქმისა არაფერი ვიცი. მხოლოდ პრესა წერს, მაგრამ ინგლისური პრესა თითქმის არ ცდება. ვნახოთ, რა იქნება ზამთარში. უარს არ ვიქნებით, თუმცა, „იუვენტუსი“ 10 მილიონს სთავაზობდა „ჩელსის“, მაგრამ აბრამოვიჩმა იუარა. ეს ზაფხულში იყო“.

ირაკლი ბაჩყალიძე



## ბრაზილიელმა გოლსენისა სეზონი

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, რომარიომ ვაცხადა, რომ კიდევ ერთ წელიწადს ითამაშებს და მერე დაანებებს ბურთობას თავს.

ვეტერანთა ვეტერანი „ფლუმინენსეში“ თამაშობს „ფლუმინენსესთან“ კონტრაქტის ვადა დეკემბერში მიმთავრდება და თუ გამოვა, მინდა გუნდს კოპა ლიბერტადორესის 2005 წლის გათამაშებაში მოხვედრაში დავეხმარო. აი, ამის შემდეგ კი გადავწყვიტო რა ვქნა, კიდევ ერთი წლით „ფლუმინენსეში“ დავრჩე თუ რომელიმე სხვა კლუბს შევუთანხმებ ჩემი კარიერის ბოლო წელიწადზე“.

საინტერესოა, რომ ბრაზილიის ნაკრების ყოფილ გმირისადმი მიძღვნილ შეხვედრაში მექსიკის ნაკრები აპირებს მონაწილეობას და თავის მხრივ ამავე მატჩის მექარე ხორზე კამპოსისადმი მიძღვნას.

შეგახსენებთ, რომ რომარიომ ბრაზილიაში დიდი სკანდალი გამოიწვია, როდესაც განაცხადა, მე პელეზე დიდი ფეხბურთელი ვარო.

„თავისუფლად შეიძლება მის გვერდით დამაყნოთ, ამაზე უბრალოდ კამათიც არ შეიძლება“ — ამბობდა ის.

ბაბუნა ბილია

„როიტერის“ ჟურნალისტი, ანგუს მაკსვონი რიო დე ჟანეიროდან რამდენიმე საათის სავალზე, ერთ-ერთი ბრაზილიური სოფლის სასაფლაოზე გახლდათ და მოკლილ, შემოღობილ სამარხებს შორის ერთი უბრალო ფილაც ნახა, რომელსაც ეწერა: აქ განისვენებს ის, ვინც თავად ხალხის სიხარული იყო — მანე გარინჩა



მერე, ანგუს მაკსვონი წერს, რომ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთამაშისა და სკანდალური პიროვნებისთვის ასეთი სამარადუამო განსასვენებელი ცოტა არ იყოს... გარინჩამ რამდენიმე ქალისგან თოთხმეტი შვილი დატოვა ამქვეყნად. გარინჩას რომანი იმჟამინდელ პოპ-მოდელთან ყველას პირზე ეკერა. გარინჩას ავარიაში სიღვრი მონაწილეობა თუ შემოაკვდა, მოკლედ, საჭკესთან თვითონ იჯდა. გარინჩამ მთელი თავისი ქონება გაანიავა.

გარინჩა გალოთდა და 1983 წელს, 49 წლისა, ალკოჰოლს ჩააყვანინა საფლავში თავი.

გარინჩაზე გიჟდებოდნენ ფეხბურთის მოყვარულები. სამხრეთ ამერიკიდან დაწყებული სკანდინავიით დამთავრებული. ის გახლდათ ბრაზილიის ნაკრების 1958 და 1962 წლების ტრიუმფის ერთ-ერთი (თუ მთავარი არა) შემოქმედი. როდესაც ის და პელე ერთდროულად იყვნენ მოედანზე, ბრაზილია არასდროს მარცხდებოდა. ასეთი რამ სტატისტიკას არ ახსოვს.

„ბოტაფოგოს აქ რამე უკეთესის

## მალვინია ამბოხს ბარინჩას ცხოვრების რომანი

გაკეთება კი მართებდა, მაგრამ...“ — უთქვამს პატივცემული ევროპელი ჟურნალისტითვის სასაფლაოს მუშას ჟორჟე და სოუზას, რომელიც 1983 წლის იმ დღესაც იქ მუშაობდა და კარგად ახსოვს, რომ გასვენებას უამრავი ხალხი დაესწრო, იმდენი, რომ სხვა საფლავები დაზიანდა.

მალე ბრაზილიაში ფილმი გამოვა. ფილმს ასე ჰქვია: „გარინჩა — ეშტრელა სოლიტარია“ ანუ „გარინჩა — მარტოსული ვარსკვლავი“. უცნაური დამთხვევაა თუ რა არის, ბრიტანეთში სულ ახლახან გამოიცა წიგნი „გარინჩა — ბრაზილიის მივიწყებული საფეხბურთო გმირის ტრიუმფი და ტრაგედია“. ეს წიგნი რუი კასტრომ დაწერა, ინგლისურად კი თარგმნეს.

სხვათა შორის, პაუ გრანდეში გარინჩას ერთი ძველი ძმაცა, 71 წლის მალვინია ცხოვრობს და ასე ამბობს: „ხალხი პელეზე ლაპარაკობს, მეფე იყო. არა, მეფე გარინჩა“.

ახლა კი, თუ ნებას მოგვცემთ, მოკლედ გარინჩას ბიოგრაფიას გავხსენებთ. ვიცით, რომ უამრავჯერ მოუყოლიათ, მაგრამ მაინც... სულ ჩემპიონთა ლიგაზე რომ არ ვილაპარაკოთ.

მანუელ დოს სანტოსი პაუ გრანდეში დაიბადა. ერთი ფეხი მეორეზე მოკლე ჰქონდა. ხალხი გარინჩად იცნობდა — ამბობენ, ეს სიტყვა პატარა ჩიტს ნიშნავსო.

პაუ გრანდეში ფაბრიკა იყო და მანე ამ ფაბრიკის გუნდში თამაშობდა, მერე „ბოტაფოგომ“ აიყვანა. რიოში საყვარელთან ერთად გაემგზავრა, ცოლ-შვილი კი უბრალოდ დატოვა, თუმცა თვითონაც კარგად გადახდა — კლუბთან ფაქტობრივად სუფთა ქაღალდს მოა-

წერ ხელი, დანარჩენი თქვენ შეავსეთო. ამის მერე მისი ცხოვრება ორ მკაფიო ნაწილად გაიყო, ტრიუმფალურად და სევდიანად.

ძმაცატი მალვინია: „ის სიამოვნებისთვის და სიყვარულისთვის თამაშობდა. გარინჩას შეეძლო თამაშის წინა დამეს დამთვრალიყო, მერე გამოფხიზლებულიყო და „მარაკანაზე“ ეფრინა. თამაშის შემდეგ ისევე სვამდა“.

ენდრიუ დოუნის ინგლისელია, ვინც რუი კასტროს წიგნი გადათარგმნა პორტუგალიურიდან. ის ამბობს: „წარმოგიდგინათ, დევიდ ბექემი შაბათს თავის ბავშვობის ქალაქში და უბანში რომ ჩადიდეს და ძმაცაცებთან თამაშობდეს? თქვენ ხომ აუცილებლად წახვიდოდით ამის სანახავად, რადგან ეს შოუ იქნებოდა“.

როგორც ვითხარით — თუმცა ჩვენი თქმა რად გინდოდათ — გარინჩამ ბრაზილიის ნაკრების ორ ტრიუმფში, 1958-ში და 1962-ში ითამაშა მთავარი როლი. 1962-ში (ჩემპიონატი ჩილეში გაიმართა) პელე დაშავდა და ყველაფერი მანემ იკისრა, მაგრამ ეს ცნობილი ამბავია. აი, ის თუ იცოდით, როდესაც ბენედიკტი ფეხბურთელები გასახდელში გახდებოდნენ ზემოხსენებულ მათთან პოპვარსკვლავი ელზა სუპრემი ჩავიდა და გარინჩას შხაპში ეწვია. ამის შემდეგ იშვა დიდი რომანი, რომელიც 15 წელიწადს გრძელდებოდა.

შემდეგ იმატა ტრავმებმა და კაჩაკას დაცლილი ბოთლების მწკრივმა. ფული მცირდებოდა და მცირდებოდა. რიოს უბან ურსაში მანესა და ელზას მდიდარი მეზობლები უკვე აღმაცურად უყურებდნენ, ხოლო სამხედრო დიქტატურის წლებში წვეილი რომში გაიხიზნა.

1980 წელს, რიოს კარნავალზე, სამბას სკოლის, „მანუეირას“ მოცეკვავეებმა იგი სააღლუმო სვლისას წინ, ასე ვთქვათ, მედროშედ დააყენეს და... ერი შეკრთა. სრულიად ბრაზილიის წინაშე გამოჩნდა ლოთობისგან წამხდარი ადამიანი ყვითელი მაისურით.

ეს იყო გარინჩა, რომელიც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

„ის უბრალო ბიჭი იყო და ცუდი არასდროს არაფერი გაუვლია გულში — უთხრა ანგუს მაკსვონს პაუგრანდეშია დურგალმა ყაყამ და დასძინა — მეორე გარინჩა არასდროს დაიბადება“.

ბაბუნა ბილია



















REUTERS მონუმენტიდან



# ოქტობერფესტი სისილიაში

გერმანიაში გახურდა ოქტობერფესტი — დროსტარებისა და სმის საშემოდგომო დღესასწაული და ბავარიულად ჩაცმული ბაიერნელებიც ამ სახალხო ღაღობას არ აკლდებიან: თლი კანი ქალიშვილით, რომი მკაბი მეუღლე ჯოისით და სუბასტიან დაისღერი მიჯნურ იუნისით.



REUTERS მონუმენტიდან



# ოფური ხალისი გაღიგუვი

ეს ორი კარგი ჯეელი სხვაგან უცხო თამაშის, ავსტრალიური ბურთობის ვარსკვლავები, სტივ ლიურენსი (მარცხნივ) და სტივ გერივი გახლავან. შეგულება აქვთ და იზური სილადით ატარებენ, ოღონდაც ამერიკაში, მაღიბუში, სადაც თან თანამემამულე მოსერფეებს ქომაგობენ, რომლებიც ვანიქმულ „რიბ კარლ პრიში“ ჩაბმულან. ეს „რიბ კარლი“ ქალ მოსერფეთა რვა დიდი სეზონური შეჯიბრებიდან მეხუთეა და ქალიც, რომელიც ზორბებს კონსილალება, სერფინგის დიდი ვინმეა: მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ლეინ ბინლი.



REUTERS მალბორენიდან



REUTERS ბანგალორიდან

# უსდება

დიადი ავსტრალიელი მოკრივეტე შეინ ვორნი ქათმის მწვადს ლუდით ახელებს. შიშინი ინდოეთის სამხრეთში, ბანგალორში ავემრელებს პაერს. აქ სულ მალე დაიწყება ინდოთა და ავსტრალიელთა საკრივეტო სერია.

**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორშაბათს,  
სამშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაქლიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი შამუკა გუგუიაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,  
კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,  
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე,  
ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჯირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე  
გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალისხილი, მადამ დოვ-  
რაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზუ-  
რაბ წერეთელი, ირმა ვიშკარიანი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზბეგის გამზირი 42, 11  
კორპუსი, IV სართული.  
საზოოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საზოოსტო  
შუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieli.com.ge>